სალაროს შემოსავლის ორდერი
CASH DEPOSIT ORDER

1771967519

GEL

თიბისი ბანკი
TBC BANK

თარიღი 12/10/2017 Date

შემომტანი Depositor	*ემზარ ნაყოფია,62006044573* ასლი
მიმღები ბანკი, კოდი	*სს "თიბისი ბანკის" წერეთლის გამზირის ს/ც#4, TBCBGE 22*
მიმღები Receiver	*ქ.თბილისის მერია* Copy
თანხა სიტყვიერად,ვალუტა Bank name, code Amount in words,currency	*ოთხი ათას ხუთას ოცდაოთხი ლარი 00 თეთრი*
შემოტანის დანიშნულება Description	*მოსაკრებელის გადასახადი, საკადასტრო კოდი: 01.72.14.035.261*

დებეტი Debit

1003

კრედიტი Credit

GE94 TB70 0253 3030 1002 14

თანხა ციფრებით
Amount in figures

4,524.00 GEL

12/10/2017 12:15:23 PM

მოლარე
Cashier

თიბისი ბანკი TBC BANK
SWIFT CODE TBCBGE22
261001

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

ვალდებულების ნაწილდება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-1742

„2" აგვისტო 2017წ.

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.261), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 15 ივნისის №24 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.261), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,9.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“. TBCBGE22. ანგარიში: GE94TB7002533030100214.) 4524 (ოთხი ათას ხუთასოცდაოთხი) ლარი.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

წერილი № 3334226

გაცემის თარიღი: 02/08/2017 გაცნობის თარიღი: 03/08/2017

განცხადების ნომერი: AR1513088

შემოსვლის თარიღი: 11/06/2017

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.72.14.035.261
- მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1000.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): გიორგი ბიჭაშვილი (P/N: 01009000601)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ლიუდმილა ჩიქოვანი პ/ნ 01017023588
- მისამართი: თბილისი ამაღლების I ჩიხი N 5/16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქს: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

წერილი

თქვენი **2017 წლის 11 ივნისის AR 1513088** განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის მომატების საკითხი განიხილა “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” **2017 წლის 15 ივნისის #24** სხდომამ, რომლის წევრთა დადებითი რეკომენდაციის საფუძველზეც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და აღნიშნული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 განისაზღვრა 4**.9**-ით.

დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 2 აგვისტოს #1-1742 ბრძანებას .

კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.